910 წ. კვირა | ფასი 10 კაპეიკი | 7 თებერვალი

შინაარსი: ჩვენი თეატრი და საზოგადოებრივი მიმდინარეობა (მეთაური); გაჰქრა ოცნება, ლექსი დუტუ მეგრელისა; ჩვენი შენიშვნები, შალვა დადიანისა; ლექსი მ. ველისციხელისა; სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება, ლევ. მეტრეველისა; ლექსი, მიმქრალისა; ლექსი, გ. ტაბიძისა; დედის ერთა, ვოდ. 1 მოქ., ვ. გუნიასი; ვან-ბრანდტი—სურათი; მომავალი მსახიობი (გაგრძელება) პ. დადაძისა; ბეთჰოვენის სიკვდილი—D. Davidiani-სა; მუშტი თუ გონება?! ექიმი შტოკმანისა; ნაწყვეტ-ნაწყვეტ (მგზავრის შთაბეჭდილებანი), გ. ფოცხოველისა; ა. ცაგარლის საფლავი, კონსტან-ანდრონისა; რედაქციის ფოსტა; სურათები.

1910 წლის 2 იანვრიდან გავიდის
სათეატრო სურათებიანი ჟურნალი
თეატრი და ცხოვრება
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм. О-ва. Іос. Зах. Имедашвили.

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო „სამეგრელოს მთავარი ლევან“-ის რეცენზია ამ ნომერში ვერ იბეჭდება. შემდეგ დაიბეჭდება

შალვა დადიანი
მსახიობი და მწიგნობარი
მისი ბენეფისის გამო 13 თებერვალს ქუთაისის თეატრში

ქართულ თეატრის მსახიობი
ქ-ნი მარო მდივანი
დღეგრძელი ბენეფისის გამო

სახალხო თეატრის რეჟისორი
კონ. ნიკ. შათირიშვილი

7 თებერვალი 1910 წ.

ჩვენი თეატრი და საზოგადოებრივი მიმდინარეობა.

წარსულისა და აწმყოს შეცდომანი გაკვეთილად უნდა გამოვიყენოთ, თუ გვინდა მომავალში შეცდომების თავიდან აცდენა...

თითქოს ამ თვალსაზრისით არ ვხელმძღვანელობდეთო, ყოველი ჩვენი საქმე **ანიდან ჰოემდე** გასული, ხელახლად **ანიდან** იწყება ხოლმე...

ამიტომაც არის, რომ თუმცა ჩვენ ვმოძრაობთ, „მივდივართ“, მაგრამ მაინც ყოველთვის ერთს ადგილაზე ვართ შეჩერებული, ერთსა-და-იმავე კუთხეში გაყინული...

ქართული სამუდამო სცენის 30 წლის არსებობამ ახლა მაინც უნდა შეგვაგნებინოს, რომ ჩვენის თეატრის ბედიღბალს უფრო მოწადინებით, საქმის სიყვარულით მოვეპყრათ.

ჩვენი თეატრი ამჟამად უდიდეს კრიზისს განიცდის, კრიზისს ზნეობრივსა და ნივთიერს..

თითქოს გავკოტრებულვიყვეთ ზნეობრივად და ქონებრივად,—ისეთს შესაბრალის მდგომარეობაშია ქართული სცენა...

ამიტომ საჭიროა საუკეთესო მომუშავეთა შემოკრება, პირად მისწრაფებათა მივიწყება, ძალღონის გაერთიანება სამშობლო სცენის ასაყვავებლად...

ჩვენს წინანდელ წერილებში უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რაც გვესაჭიროება და აქ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთხელ და დაჟინებით მოვაგონებთ, რომ უფრო ფხიზლად შეხედოს საგანს, ნათლი-მამობას მხარი აუქციოს და დრამატიულ საზოგადოების სათავეში ჩააყენოს საქმის მცოდნე და გამკეთებელი კაცები...

გაჰქრა ოცნება!..

იეო დრო ნეტარ ჭაბუკობისა:
გულში ეკოდა ია და ვარდი;
სულს წმინდა გრძნობა ატისტროფებდა;
მე ის მიყვარდა, მას მე ეუყვარდი!
ცხოვრება, როგორც დამშეიდებული
ზღვა, ტიალებდა და კამკამებდა
და, მასზე მცურავს ჩვენს კაუწია ნავს
ოცნება შორს, შორს მიაქანებდა!

ის დედოფალი იეო სიზდაბრო,
მთელ დიდ სამთავროს მეფე-მეფდობელი.
მე-კი იმისი კარის მგოსანი,
მარადის მისი შემამეობელი.

და ვუმღეროდი სხვა და სხვა ლექსებს,
მის ჩაგონებით მისთვისვე თქმულსა;
ის ეურს უგდებდა, ადტაცებული,
ჩემსა სიმღერას, ადფრთოვნებულსა.

და ტკბილ დიმღეით მაჯილდოვებდა!..
მეც სხვის არაფრის არ მქონდა დარდი:
სულს წმინდა გრძნობა ატისტროფებდა;
გულში ეკოდა ია და ვარდი!

მაგრამ უეცრად ცა მოიღრუბლა;
ასტულ გრიგალი, ასტეგ-ასზარი;
ნავი კლდეს მოხვდა და დაიღუბა;
გაჰქრა ოცნება, ვითა სიზმარი!

გაჰქრა ოცნება!.. ღღეს ულმობელი
სინამდვილეა გამეფებული:
ის ჩაუძირავს ცხოვრების ჭაობს,
მე—უდაბნოში ვარ გარეყული!

1910 წ.

ღ[illegible]

ჩემი შენიშვნები

I

მთხოვთ, თქვენი საპატიო ჟურნალის საშუალებით მეც გამოვსთქვა რამ ჩვენი თეატრის შესახებ.

მერწმუნეთ, ეს ძნელი საქმეა ჩემთვის.

ძნელი მიტომ, რომ თუ არ გულის ტკივილით, ისე რა ითქმის ჩვენს თეატრზე?

თუმცა „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“-ო... და ამიტომ თუ აგყვებით.

თუ არ ჩვენ ნაკლულევანების შესახებ, ისე რაზე უნდა ვილაპარაკო? — ნაკლულევანება-კი „ანიდან“ და „ბანიდან“ უნდა დავიწყოთ, რადგან ის, რაც სხვების თეატრს უკვე გამოვლილი აქვს და უკვე აღნიშნული, ნათქვამი და მოჭირვებულიც, ჩვენ ახლა გვადგია კარს და ელის ჩვენგან „საქმით“ პასუხის გაცემას.

მთავარი მიზეზი-კი, მაინც და მაინც, ჩვენი თეატრის დაქვეითებისა და დაკნინებისა ისევ იქა ძევს, საცა ყველა გზებს, როგორც არა ერთხელ უთქვამთ, რომისაკენ მიჰყევხართ. ეს არის: ჩვენი პოლიტიკური დაჩაგრულობა, ეკო-

ნომიური განუვითარებლობა, საზოგადოთ — ჩვენი უვიცობა, ჩვენი უკულტურობა.

თუმცა, როდესაც ადამიანი, რთულის ავადმყოფობით არის ავად ექიმმა შეიძლება მიაგნოს მიზეზთა მიზეზს მისი ავადობისას — მის წინანდელ უხეირო ცხოვრებას, გაციებას, ან სხვა რამ ბაცილებს, მაგრამ სანამ სრულად და ერთბაშად განკურნავდეს, რადგან ძნელია თურმე ერთბაშად განკურნება, კუჭს უწმენდს, ყელს მოურჩენს, სიყრუვისაგან გადაარჩენს და სიბრმავისაგან დაიხსნის.

აქაც ასეა: მთავარი და შორეული მიზეზი კარგად ვიცით ჩვენი თეატრის ავადობისა, მაგრამ სხვა უფრო მახლობელ და წვრილმან ნაკლთა ჩამოშორება, მაინცდამაინც, სადღეისო ვალია.

ეს მახლობელი მიზეზებიც არა ერთხელ ღგვინიშნავს, მაგრამ აბა ერთხელ კიდევ ჩამოვთვალოთ:

თვით ჩვენი, მსახიობთა, უვიცობა, მოუმზადებლობა, განუმტკიცებლობა და შეუთანხმებელი მუშაობა; დიდი პრეტენზიები და ცოტა საქმე.

უვარგისი ხელმძღვანელნი; სრულიად საქმის შეუფერი მბრძანებლები და ზოგჯერ—არა მკითხე მზრუნველები და გამდლები.

პირუთვნელისა და ღირსეული კრიტიკის უქონლობა, რომლის მაგივრად ან ბავშვების და სრულიად უვიცთა წერის ვარჯიშია ჩვენს პრესაში გამეფებული, ან და თითქო ოლიმპზე მსხდომთა სამადლო ორიოდე სიტყვა, რომელიც უფრო ხშირად არც შამფურსა სწვავს და არც მწვადსა.

დასასრულ ნივთიერი ხელმოკლეობა.

ეს უფრო იმიტომ, რომ ჩვენი თეატრი ჯერ კიდევ არ დამდგარა ესრეთ წოდებულ „დემოკრატიზაციის“ გზაზე და თავისი კარები ფართოდ, არ გაუღია — მასსისათვის.

ყველამ ვიცით ეს ნაკლი. პრესსამაც, მადლობა ღმერთს, ამ უკანასკნელ ხანებში მაინც, უფრო ცხოველად ამოიღო ხმა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ვის უფრო მართებს „დაფიცურება“ და საქმის კალაპოტში ჩაგდება?

— რა თქმა უნდა ჩვენ მსახიობებს.

სანამ თვით ჩვენ არ შევიგნებთ საერთოდ ჩვენს ვალს, სანამ თვით ჩვენ არ შევქმნით საუკეთესო სხეულს, საქმის დიად სიყვარულით განმტკიცებულს, მანამ ეს ბარგი მუნ იდება, რადგან გედი კვლავ ცისაკენ მიიწევს, თევზს მაინც წყალში უნდა ჩაგვაღრჩოს და კიბოსაც ისევ უკან დახევა სულსა და გულს ურჩევნია.

ხშირად გვესმის ხოლმე: -- სცენაზე ნაკლებათა გვყვანან ინტელიგენტებიო. სრული სიმართლეა და დიდი ნაკლიც. აკი ჩვენც უვიცობას ვუჩივით. ინტელიგენტი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, სწორედ ის ნოყიერი და შეზავებული ნიადაგია, რომელზედაც, უთუოდ, დიდათ სურნელოვანი მცენარე აღმოცენდება ჩვენის სათეატრო ხელოვნებისა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ერთი რამ კი ავიწყდებათ ჩვენს საპატიო შემნიშვნელებს.

თბილისშიაც და ქუთაისშიაც, რა თქმა უნდა, ვიცნობ ზოგიერთს ჩემს სცენით ამხანაგს. არ არიან, ბატონო, „ინტელიგენტები“. შეიძლება ზოგიერთი მათგანი,—აქ საწყენი არაფერია, პირიქით სასახელოცაა, მე მგონი—„ქუჩის ბიჭებიც“-კი იყვნენ, ან „გაზეთის ანუ სხვა რამის დამტარებლები“, მაგრამ თეატრისთვის კი დიდად საჭირონი არიან. ამას უსათუოდ უნდა ყურადღების მიქცევა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუ კი ჩვენს სცენას, როგორც ხშირად იტყვიან ხოლმე, „გაწმენდა“ უნდა, ცოცხი კი არ უნდა—ერთი მეორეს ბრუნდი და მართალი მიაყოლო, ფარცხი უნდა, ფარცხი, რომლის ქვეშაც ადვილად შეიძლება რომელიმე „ინტელიგენტი“ მოყვეს და „ქუჩის ბიჭი“-კი ლამაზად დარჩეს თავის ადგილას. ეგ ტყუილი გოდებაა, რომ იმათ შერყვნეს ჩვენი სცენა. შერყვნეს იმათ, ვინაც არ იყვენ წვეულ, არ იყვენ რჩეულ, მაგრამ საქმის ბედიღბალი-კი ხელთა ჰქონდათ თვით ჩვენივე, მსახიობთა, დაუდევრობისა და სიბრმავის, ან სიბეჩავის გამო.

მე ასეთი „შესწორება“ შემომაქვს: შეერთდენ „უსაჭიროესნი“. სიტყვა „ინტელიგენტს“, თვით ჩვენივე საყვარელი საქმის სასარგებლოთ, ნუ დავატანთ ძალას.

საკვირველი საქმეა! სცენა ისეთი დაწესებულებაა, რომელიც თითქო თხოულობს ღრმად მომზადებულ პიროვნებას თეორიით. რაღა სჯობია თუ ასე ხდება ხშირად! მაგრამ ზოგჯერ გაიხედავთ—ვიღაც „ქუჩის ბიჭი“ მოგვე-

ლინება, ან „გაზეთის გინა სხვა რამის დამტა-
რებელი“ და..., მიუხედავად ულმობელის თეო-
რიისა, პრაქტიკულად მშვენიერი მსახიობი დგე-
ბა, დიდად საჭირო სცენისათვის. ეს განა მარ-
ტო ჩვენშია ასე? ვინუგეშოთ! ადამიანის სასა-
ხელოდ, სხვაგანაც ასრე ხდება.

ამიტომაც ნუ „განვაგდებთ სატანას“ და
მოვიხმაროთ ისინიც, საჭირონი. ყველას აქვს
თავისი „მაქსიმუმი“ და ჩვენც სწორედ უნდა
ვეცადნეთ, რომ ჩვენის ხეირიანის მოპყრობით
სამუშაოდ გამოვიწვიოთ მისი ფარული ძალთა
ძალი. ჩემის ფიქრით, საქმე ის არის ძალის გა-
მოყენება უნდა იცოდე კაცმა. ამერიკელებმა
ნიაგარის ჩანჩქერი, ეს სტიქიური ძალა, ვე-
ლური და გაურჩევი, ყველაფერში გამოიყენეს
—იმის ძალით კიდეც ინათებენ თავსა, კიდეც
მანქანებს ამოძრავებენ, კიდეც ერთობიან.

ამიტომ ნუ დავატანთ ძალას სატყვა—ინტე-
ლიგენტს.

მხოლოდ თუ შეერთება საჭიროა, კიდევ
ვიმოერებ, ყველანი სადღეისოდ სჯჭირონი უნდა
შეერთდენ განურჩევლად ინტელიგენტობისა
და თვითვე გაუძღვენ თავის საქმეს, თვითვე
იშრომონ ინტენსიურად.

როგორც მუშებს ვერა იხსნის-რა, თუ თვი-
თონვე არ დაეწყვენ შეგნებულ და მწყობრ
რაზმად და არ გადასჭრეს თავისი საკითხი,
როგორც არც ქალთა საკითხი გადაწყდება,
თუ თვითონვე არ გამოიღეს ხელი, ისე არც
ჩვენი საქმე წავა ხეირიანად, თუ თვითონვე ჩვენ
არ „განვიწმინდებით ზოგიერთი მწიკვლისაგან“
და თვითონვე არ მოვულით ჩვენს თავს.

რაც სხვა მებრძოლთათვის საანბანო ჭეშმა-
რიტებაა, ჩვენთვისაც ეგეთივეა, მხოლოდ ამას
შეგნება უნდა, გამორკვევა უნდა. ისე,—რომ
საბრძოლველი და დამბრკოლებელი მიზეზები
ბევრი გვაქვს ჩვენც, ეს, მადლობა ღმერთს,
მგონი უკვე ვიცით.

შალვა დადიანი



ჩემი ქვეყანა

ვრა, ვრ კმრა.. ის ტრემლებით, რაც დამიდვრია,
ვერ გამოითქმის სიმწუხარე ჩემის ქვეყნისა...
ის მოსობის ქვეშ ვნებულა და მას კმუქრება
დასნგრეგედან ამრთული ხელები მტრისა...
წამებულთ სისხლი წამებისა ჯვარზე აცხია;—
მტერსა ახარებს... მე ტკივილად გადმქცეია...
მოძმეთა დრტვინვა, ოხვრა, კვნესა —ამოძახილი
სულის ადმობა—ადმშფოთი გულის მწველია.
ჩემი ტირილი, ტირიდა ტანჯულ ქვეყნისა,
რომელს გარს არტყია სავალალოდ გლოვის ზეწარი,
და არ შესწყდება ჩემს თავდებზე ტრემლი მდულარე,
სანამდე იკვნესს ტანჯულ ქვეყნის ტანჯული ქნარი...

მ. ველისციხელი

სიტყვა-კასპულ ნაწარმოების საერთო დაფასება

(გაგრძელება იხ. „თ. ც.“ № 1, 2, 3, 4)

ჩვენა ვსთქვით, რომ მხატვრული ნაწარ-
მოები უმთავრეს ტრანსფორმაციას განიცდის
გულში, ამ გრძნობების სამეფოში; ამასთანავე
დავანახვეთ ამ გრძნობებისა და ინსტიქტების
სილრმავისა და მრავალფეროვანების დაუსრუ-
ლებლობა.

ჩვენც უნდა ჩავიყურყუმელაოთ ჩვენი არსე-
ბის სილრმეში და იქ თუ ბოლომდის ვერ ჩავს-
წვდებით მის ფსკერს, ხომ გავიცნობთ იმის
საერთო ბუნებას, საერთო მრავალფეროვანე-
ბას, საერთო თვისებათ, რაც არის მხატვრულ
ნაწარმოებთა საერთო საზომი, მათი საერთო
დამფასებელი.

დიაღ, ეს გრძნობები, ეს ინსტიქტები არი-
ან მხატვრულ ნაწარმოებთა საერთო დამფასე-
ბელნი.

ხელოვნება ყოველ თავის მოვლენაში შე-
ფუთვნილი უნდა იყვეს სიამოვნების გამსკვრეტ
ჰაეროვან სარჩულში.

ეს თავი და თავი არსებითი თვისებაა ხელოვ-
ნებისა. ხელოვნება რაც უნდა ტრაგიკულის შინა-
არსისა იყვეს, მთელი ეს ტრაგიზმი, ეს სულის-
კვეთება აუცილებლად გამონასკული უნდა
იყვეს სიამოვნებაში, მითუნდა იყვეს შეზავებული.

მერე სად არის ამ სიამოვნების სამფლობე-
ლო? როგორია მისი რეალური სახე? ან რა
აყენებს ამ სიამოვნების მოთხოვნილებას?

ამაზე მხოლოდ საერთო პასუხის მიცემა
შეიძლება. განსაკუთრებით არ შეიძლება ით-
ქვას, თუ სად არის სიამოვნების სამფლობე-
ლო, მაგრამ საერთოდ-კი ის არის ჩვენს ბუნე-
ბაში, ჩვენს გრძნობებსა და ინსტიქტებში. თუ
რა სახისაა ის, — ეგეც ძნელი სათქმელია,
მხოლოდ ის არსებული ფაქტია ჩვენს ბუნება-

ში და ჩვენც ამ ფაქტს უნდა გავუწიოთ ანგარიში.

სიამოვნების მოთხოვნილებასაც აყენებენ ისევ ჩვენი გრძნობანი, ჩვენი ინსტიქტები და ყოველი მწერალი მოვალეა მორჩილებით ქედი მოიხაროს ამ მოთხოვნილების წინაშე და ეცადოს, რაც შეიძლება, მისი სავსებით დაკმაყოფილებას.

მაშ ასე. მხატვრული ნაწარმოები უეჭველად უნდა გვგვრიდეს სიამოვნებას. რა სულიერ ნიადაგზეც უნდა იყვეს აღმოცენებული ეს სიამოვნება და რა ხასიათისაც უნდა იყვეს იგი, ეს სულ ერთია ამ შემთხვევაში.

თუ ნაწარმოები იწვევს ჩვენში აღტაცებას, აღფრთოვანებას; თუ ის აღრმავებს გრძნობებს, ამაღლებს აზრებს და აღვიძებს ფანტაზიას, მაშ სჩანს ის სწორედ მხატვრული რამაა.

ამ გრძნობებისა და აზროვნების ღრტვინვას, მათ გაღიზიანებასა და ათამაშებას ნაწარმოები იწვევს ან ცალკ-ცალკე, ან ჯგუფებად, ან ყველას ერთად.

ამასთანავე ყველა ამ გრძნობებისა და აზროვნების აჟღერება გამოწვეული არის ინსტიქტიურის, ჩვენის გონებისაგან მიუწდომელის, საიდუმლო გზით, ჩვენდა უნებურად.

ამ გრძნობებისა და აზროვნების ღელვის, მათი კმაყოფილების, მათი ჟღერისა და ცვალებადობის შედეგი არის სწორედ ის სიამოვნება, რომელიც ისეთ უცნაურ, საიდუმლოების ქათიბაში გახვეულა და ყოველთვის გვამცნებს ხოლმე თავის არსებობას ჩვენში, როცა მას გულში მოხვდება ხვლეტვნებისაგან ნაზად ნატყორცნი ისარი, როცა ის ყურს მოჰკრავს მის ციურ, ჰაეროვან ჰანგებს და აღვიძებს ხოლმე მის მიყუჩებულ-მიძინებულ ბუნებას.

ეს სიამოვნება არის სწორედ ის, რასაც უწოდებენ ესთეტიკას, ესთეტიკურ გემოვნებას, ან დაკმაყოფილებას.

ყველა ამის შემდეგ მეტი იქნება ვსთქვათ, რომ მხატვრული ნაწარმოები უნდა ჰხატავდეს ბუნებრივობას, რადგან თუ მასში არ იქნება ბუნებრივობა, მაშინ ის ვერც გამოიწვევს ჩვენში ნამდვილ სიამოვნება-სიტკბოებას, რადგან ჩვენი გრძნობანი, ჩვენი ინსტიქტები ისე ფხიზლად ადევნებენ თვალ-ყურს ყველაფერს, რომ მცირე არა-ბუნებრივობასაც ხელად მოჰკრავენ ხოლმე ან თვალს, ან ყურს, თუმცა გონება-კი ხშირად ვერ ხედავს ხოლმე ჩვენი გრძნობებისა და ინსტიქტებისაგან შემჩნეულ არაბუნებრივობას.

მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მხატვრული ბუნებრივობაც ისე განირჩევა ცხოვრებისა და მეცნიერულ ბუნებრივობისაგან, როგორც მისი სინამდვილე ცხოვრებისა და მეცნიერულ სინამდვილისაგან, რაზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი.

მაშ ასე. მხატვრული ნაწარმოების საერთო დაფასება შეიძლება მაშინ, თუ ის საერთოდ იწვევს ჩვენში აღტაცებას, აღრმავებს გრძნობებს, ამაღლებს აზრებს და აამუშაკებს ფანტაზიას.

ოჰ, რა განუსაზღვრელია კარგი ნაწარმოებით განცდილი სიამე! ვერც თვალებზე მომდგარი ცრემლი, ვერც სახეზე მქროლავი ღიმილი, ვერც ამოხვრა, ვერც აღტაცება და მით უმეტეს ვერც სიტყვები, ეს ყველაზე სუსტი იარაღი კაცის ძლიერ და იდუმალ გრძნობათა გადმოსაცემად, ვერ გამოჰხატავენ იმ უცნაურ გრძობას, რასაც ეწოდება სიამე. იგი ბობოქრობს ზღვასავით, თუ წყნარია მაისის დილასავით, მაინც მარადის საამო, შემაჟრჟოლებელ, აღტაცებულ ჰანგებად გაისმის კაცის მთელ არსებაში.

ეს სიამე, მწარე ცრემლებით არის შობილი თუ უმანკო სიცილ-ხარხარით, მაინც ნეტარების წყაროდ ჩუხჩუხებს ადამიანის მგრძნობიერ გულში და ატკბობს მთელ მის არსებას.

ეს უხილავი ბადეა, უჩინარ ხელით ნაქსოვი, რომელიც ნაზად, მაგრამ ძლიერად გარს ეხვევა ადამიანს და ადამიანიც ამ შებოჭვით განიცდის ზეადმაფრენას, ციურ ნეტარებას.

დაჰკვირვებია ვინმე, თუ რას განიცდის, როცა ისმენს კარგ ნაწარმოებს?—თითქოს სხვა ტვინით ფიქრობდესო, ისე ნათლდებიან მისი აზრები; თითქოს სხვა ნერვებით განიცდიდესო ყველაფერს, ისე სპეტაკდებიან მისი გრძნობანი, თითქოს მის ფანტაზიას გაუღეს გალიის, ყოველ-დღიურ ცხოვრების, კარიო, ისე მიჰფრინავს შორს მსუბუქად, საამურად. ყოველ-დღიური ცხოვრება თავისი ჭირ-ვარამით დაცემით, გათახსირებით ეჩვენება რაღაც წარმოუდგენელ სისულელედ, გაუგებრობად ამ ქვეყანაზე და სცდილობს მიაგდოს იგი სადღაც დავი-

წყების ბნელ კუთხეში და თვითონ კი ამ უხილავ—სიამის უხილავ ფრთებით მიექანება სულ სხვა ქვეყნებისაკენ, რომელთაგანაც ზოგი გაცისკროვანებელია მის ტკბილი ოცნებით, ზოგი-კი უხილავი, ვით მის სიამე, სადაც იხილავს ახალ სინათლეს, ისუნთქავს სულ სხვა წმინდა პურით, სადაც შეგნებით ან შეუგნებლად ესწრაფვის მარადისობას, უკვდავებას და შეგნებულად ან შეუგნებლად განიცდის ახალ სიტკბოებას, ახალ სიამეს ამ ძებნაში, მისწრაფებაში.

იგი ცხოვრებაში უპატიოსნო, მაშინ ხდება პატიოსანი; ცხოვრებაში ყალბი, მაშინ ხდება გულმართალი; ცხოვრებაში უგრძნობი, გულქვა, მაშინ ხდება მგრძნობიერი, ლმობიერი, როგორც გულწრფელი, თავდავიწყებითი სიყვარულის დროს, როცა კაცის გულში ადგილი აღარა აქვს ანგარებას, წვრილმანობას, სულმოკლეობას.

კარგი ნაწარმოები — ეს მადლის მომნიჭე შუქია ყოველდღიურ ბნელ ცხოვრებაში; ეს საამო ჰანგია ყოველდღიურ კვნესაში, ეს უკვდავების გრძნობაა ამ ქვეყნიურ წარმავლობაში; იგი აღვივებს ღვთიურ ცეცხლს კაცის გაცივებულ გულში, თავისთვისაც და სხვისთვისაც გაცივებულ გულში.

დიაღ, ასეთია ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები და ამ აზრის სიმართლეში დაგარწმუნებთ არა ჩემი წერილი, არამედ თქვენივე დაკვირვება, გაცნობა თქვენ ღრმა და რთულ გრძნობათა და განცდათა; ჩემი წერილი მხოლოდ მიგითითებთ ამ დაკვირვების აუცილებლობაზე.

იქნება ზოგიერთმა კრიტიკოსმა მისაყვედუროს, ეგ ხომ ჩვენც ვიცოდითო.

შეიძლება ბევრმა იცოდეს, მაგრამ ეს ცოდნა ხშირად ავიწყდებათ ხოლმე და ვერ ხელმძღვანელობენ ამით შესაფერად, ამისი მარტო ცოდნა არა კმარა. ეს ყოველთვის თვალწინ უნდა უდგეს დამფასებელს; მის ნელ რხევას, მის უმნიშვნელო ცვალებადობას ყოველთვის ღირსეულ ანგარიშს უნდა უწევდეს.

ეს ბევრს ავიწყდება ხშირად იმიტომ, რომ ნაწარმოების მეორე ხარისხოვანი თვისებანი, ან ნაკლი, ან ღირსება, რომელიც გამოჰხატავს მხოლოდ ხელოვნების რომელიმე მიმდინარეობას. ხშირად წინ ჩამოეფარება ხოლმე დამფასებელს და ის ველარა ჰხედავს ხელოვნების იმ უმთავრეს და საერთო თვისებას, რომელზედაც ვლაპარაკობდით აქამდის. ე. ი. თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს რომელიმე ნაწარმოები ადამიანის იმ ღრმა ფიზიელ გრძნობებსა ინსტიქტებზე, რომლის ხმაც გვესმის მხოლოდ მაშინ, როცა კარგად ვაკვირდებით მას, როცა მიუდგომელ, სერიოზულ ანალიზს ვუწევთ ჩვენი გრძნობებისა და ინსტიქტების პასუხს, და ჩვენი არსების მრავალგვარ თვისებათა სხვა და სხვა ცვალებადობას, რადგან უმთავრესად და საერთოდ ესენი სწყვეტენ, სასიამოვნოა თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები.

და თუ სასიამოვნოა ის—მაშ სჩანს მხატვრულიც არის. ყოველი მხატვრული ნაწარმოები უპირველეს ყოვლისა უნდა იყვეს სასიამოვნო. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, — სულ ერთია, ეს მეორე და მესამე ხარისხოვანი კითხვაა. სიამოვნება კიდევ გადასწყდება ისე, თუ ნაწარმოებმა გამოიწვია ჩვენში ჩუმი, ნეტარი კმაყოფილება, ან აღფრთოვანებული მღელვარება, თუ აამუშავა გრძნობები და აზრები და დაჰბადა მათში ინსტიქტიურად სხვა და სხვა ნაირი სოციალური და ფილოსოფიურ-ზნეობრივი კითხვა, თუ გამოაფხიზლა სული კვლევისა, ძიებისა და კმაყოფილებისა.

ჩემი აზრით, აი, ამ გზით შეიძლება მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთა საერთო დაფასება.

ლევ. მეტრეველი

*
* *

ოხ, ნუ ჩამოჭკრავ ბროდის თაოს ჩონგურს,
ნუ მოამაგონებ სატრფოს დაკარგულს,
თორემ ეს გული,
ფერფლად ქცეული,
ამიგვნესდება,
ბედით წეუნული,
და მაშინ გიჟსა
დაგედარები,
სადაც შორს
მინდვრად გაგიჭარები.
ოხ, ნურვინ მეტეუოთ ,,მოგვდო ისა...
და დაგიბნელდა სხვაო მზისა!!
მე კვალად ველი ნახვას იმისას...
შუქ-შოელვარე განთიადისას.

მიმქრალი

დედის ერთა

ვოდ. 1 მოქ. ჩვენის ცხოვრებიდან.

მოქმედნი პირნი:

ქაიხოსრო ხვედლაძე, სამსახურიდან გამოსული მოხელე—50 წლ.

თაფლო, ამისი ქალი, სწავლა-დამთავრებული—17 წლ.

კნ. რიფსიმე, ქვრივი 47 წლ. კაპასი დედაკაცი.

იოთამ, ამისი ვაჟი, დედის ერთა, 20—22 წლ., მოსულელო.

ნოდარ ზამბურაკი, სამხედრო სამსახურში ნამყოფი, 48 წლ., კოჭლი და ბრაზიანია.

სონა, ამისი ქალი 22 წლ. მოუხეშავი და უტყვი არსება.

მოქმედება სწარმოებს ქიზიყის ერთ-ერთ მხარეს

სცენა: ეზო სოფელში. მარჯნივ რუ მოჩანს. ირგვლივ წნული ლობე, ხის კარით, აქ-იქ ხეები და ბუჩქნარები, მარცხნივ სახლის დერეფანი, ეზოში სოფლური სკამები. ქვა დიდ კაკლის ქვეშ და სხვა. იქით ბუჩქნარებში ხე-ტყე. შუა დღეა. ფარდის ახდის შემდეგ შემოდიან.

I

ქაიხოსრო, თაფლო

თაფ. მამილო, არ ვიცი, ისე როგორ წაგეჩხუბეო, რომ არ გეწყინოს?

ქაიხ. შენ კიდევ ნუ წამეჩხუბები, შვილო! აბა, რა გაქვს ჩემთან საჩხუბარი?

თაფ. რაო? განა ერთი, განა ათასი, ასი ათასი და ათი ათასი?!

ქაიხ. აბა, ერთი მაინცა სთქვი! მოიცა, ჩამოცხა და, აი იმ ხის ქვეშ ჩამოვსხდეთ! (ჩამოჯდება) ახლა სთქვი.

თაფ. ჯერ ერთი, რომ საშინლად მოწყენილი ვარ!

ქაიხ. ვსთქვათ ეს ერთი,—მეორე!

თაფ. მეორე ისა, რომ მე მარტო ვარ!

ქაიხ. მესამე?

თაფ. მესამე, მეოთხე, მეათე და მეასე ამ ორი მიზეზისაგან წარმოდგება... დედა მომაკვდა თუ არა, მაშინათვე მონასტერში დამიმწყვდიე, მითომ და სწავლისათვის... მთელი შვიდი წელიწადი ვეგდე იმ თქვენს ნაქებ სასწავლებელში! აბა, რა ვისწავლე, მამაც არ მომიკვდება, რომ ჩემს თავში სრულებით არა არის-რა იმ სწავლიდანა! წერა-კითხვა მასწავლეს, ოდნავ ხელ-საქმე და სხვა არაფერი! წერა-კითხვა შინაც კარგად ვიცოდი!

ქაიხ. მერე ვისი ბრალია, რომ არა იცირა! მე კი შენი წონა ფული დავხარჯე და!

თაფ. იმისი ბრალია, რომ თბილისში უნდა წაგეყვანე და იქ მიგებარებინე სასწავლებელში!

ქაიხ. თბილისში, შვილო, მამაშენს უსწავლია და დედაშენს?

თაფ. ჰო, და კიდეც იმიტომ არის, რომ არაფერი ვიცი! აჰა, ბურთულაანთ თიკო თბილისში სწავლობდა და, სხვა არა იყოს-რა, ჭრა-კერვა ისეთი იცის, რომ თქვენი მოწონებული!... ეჰ, თავი დავვანებოთ იმ შეჩვენებულ მოლოზნებს, იმათ პრანჭიაობას, იმათ ორპირობასა და ფარისევლობას-მეთქი, იმათ გამუდმებულ წირვა-ლოცვასა და ზარების რეკვას-მეთქი...

ქაიხ. ამაზე დავხარჯე ამდენი ფული? ეჰ, ეჰ, ეჰ!

თაფ. და მერე რა გამოვიდა? ჩამომიყვანე აქა და უარეს დღეში ჩავვარდი! დილიდამ-საღამომდინ მხოლოდ შენა გხედამ, მოჯამაგირე ტოტესა და შემდეგ ვარდისახარს!

ქაიხ. შენც რა ცუდ ხალხსა ხედავ!

თაფ. ასეთი სიცოცხლე შეუძლებელია! ან ჰო, ან არა!

ქაიხ. (შეწუხებული) რა იყო, შვილო, რა გინდა?

თაფ. გადაჭრილს გეუბნები, მამილო, რომ არ შეიძლიან მთელი დღე ოთხ კედელ შუა ვიჯდე!

ქაიხ. მაშ რა ვიყო, შვილო!?.

თაფ. ეგ შენ თვითონ მოიგონე! შენ არ იყავი მანუგეშებდი: აბა, სწავლა გაათავე, შვილო, და მერე მე ვიცი! აჰა, ესეც სწავლა გავათავე და ახლა კიდენ შენ იცი!.. მე დეიდასთან წასვლას ვაპირებდი სიღნაღში, შენ არ ინდომე—ჩემთან იყავიო... აჰა, ესეც შენთანა ვარ... ლამის გავგიჟდე. პანსიონში, ამხანაგები მაინც მყვანდენ.

ქაიხ. (ოანაგრძნობით) ჩემო კარგო, მე ხომ არას გიშლი; წადი ხოლმე, გაისეირნე, ვარდისხარ წაიყვანე და წისქვილი დაათვალიერე,

ვენახები ნახე, სასაფლაოზე ადი, დედაშენი მოიგონე!

თაფ. (ჯავრებს) „ვარდისახარ წაიყვანე, წისქვილი ნახე, სასაფლაოზე ადი“!.. შენც ეგ გინდა, რომ მალე სასაფლაოზე წავიდე! (თავს ჩაქინდრავს)

ქაიხ. აი, დასწყევლოს ღმერთმა იმათი პანსიონიც! შვილო, არ გახსომს პატარობისას რამენს დახტოდი, სახლში ძლივს შემოგიყვანდით.

თაფ. ის დრო სულ სხვა იყო, ეს დრო სულ სხვა არის!

ქაიხ. მითომ დაბერდი თუ? ეჰ, ეჰ, რა დროება დადგა!.. შვილო, იქნება მურაბები გინდა!

თაფ. (იცინის) მამილო! როცა შენ 17—18 წლისა იყავი, მაშინ შენც მურაბები გიყვარდა!?

ქაიხ. (გულუბრყვილოდ) მიყვარდა და ეგრე, განსაკუთრებით კაკლისა! არც ალუბლისა იყო ცუდი!

თაფ. (ცბიერად) კიდევ რა გიყვარდა, მამილო!

ქაიხ. კიდევ?! კიდევ რა! არ მახსოვს, იქნება სხვაც რამე მიყვარდა... ოჰ, მართლა! დოშეპამანდიც მიყვარდა!

თაფ. მამილო... თუ გინდა... მე.... თუ გინდა მე გეტყვი...

ქაიხ. კარგი, შვილო, კარგი! მითხარი, რაც გინდა: იქნება კაბები გინდა, იქნება რა გინდა, მითხარი შვილო... ნუ გეშინიან... აქ არავინ არის.

თაფ. ყურში-კი გეტყვი!

ქაიხ. კარგი, ყურში მითხარი.

თაფ. (ყურში ეტყვის) მე... მე.. მამილო... მე მიყვარს... მე შეყვარებული ვარ! (ერთბაშად შერცხვება)

ქაიხ. (წამოხტება) როგორ? რაო? ეგრე ერთბაშად ხოლვერა ხომ არ არის, შე დალოცვილო! ასე ერთბაშად როგორ იქნება; ასე სწრაფად მოუფიქრებლად?

თაფ. მამილო, განა სიყვარული ფიქრსა და სჯაში შედის?! სიყვარული უეცრივ მოდის, ელვასავით ჩვენდა უნებურად.

ქაიხ. ამ სიყვარულზე, გეტყობა, ბევრიც და კარგადაც უსწავლებიხართ მონასტერში! (ხელს იქნევს) არა, შვილო არა! სიყვარული უცებ-კი არ მოდის, უცებ სისულე მოსდის კაცსა, მოულოდნელი არა ვარგა!

რაფ. მამილო, შენ თვითონ არ ამბობდი, რომ დედა ჩემი მოულოდნელად შეგირთამს, ერთს ნადიმზე.

ქაიხ. ეჰ, შვილო, ის დრო სხვა დრო იყო... ის სამოც წლებში იყო... მაშინ ყოველი კეთილი და პატიოსანი იყო! ეჰ, მაშინდელი დრო რა ამ დროის შესადარებელია?.. ახლა ყოველ ნაბიჯზე სიცრუვე, ანგარება, ფული და ვაჭრობაა!..

თაფ. მე ვიცი, რათაც ლანძღამ ახლანდელ დროს... ეგ—მე რომ იოთამი მომწონს—იმიტომ.

ქაიხ. მე შენ ითთამს სრულებით არ ვიცნობ... ახლად ჩამოსულები არიან... აქ რაღაც ერთი ტკაველი მიწა ჰქონია დედა-მისს და იმას შეჰყურებენ! მე იმათ სრულებით არ ვიცნობ!

თაფ. თუ არ იცნობ, მამილო, ცუდათ რათ იხსენიებ შენ თვითონ არ მასწავლიდი ხოლმე, ტყუილად ნუ იცი კაცის განკიცხვაო!

ქაიხ. შვილო თაფლო. რა დაგიმალო, ყველა გაიძახის, მეორე კლასიდან არის გამოგდებულიო. რაღაც სამსახურში ყოფილა და იქიდანაც გამოუბძანებიათ... იმის დედას რაღაც გროშები ეძლევა პენსიად და იმითიღა ცხოვრობენო... რა ერთი ხანია, დედა-შვილი მდიდარ საცოლეს დაეძებენ თურმე ყველა სოფელში... ახლა აქ ჩამოსულან, რა არის ვინმე ჩავიგდოთ ხელშიო... ვინ მოსთვლის რაებს ამობენ მაგათზე.

თაფ. ერთად-ერთი ყმაწვილი კაცია მთელს ჩვენს სოფელში და იმაზედაც-კი ჭორი დაუყრიათ, მაშ რა ვქნა ახლა, მოჯამაგირე ტოტეს მივთხოვდე!

ქაიხ. რათა შვილო, რათ ჩქარობ, ჯერ რა დროა!..

II

იგივეა, **იოთამ**

იოთამ (ჯერ კიდევ კულისებიდან ყვირის) დაიკარგე, დაიკარგე, ძაღლო, ჰეი, ხალხნო! ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ!.. ძაღლებმა შემჭამეს, მიშველეთ! (კამოვარდება და ხელს იტაცებს ფეხებზე) დასწყევლათ ეშმაკმა, როგორ დამფლითეს! (შეამჩნევს თაფლოს და ქაიხოსრაოს) უკაცრავად, როგორ მშვიდობით მოგიკითხოთ.

ოპერის მსახიობი ქალი ვან-ბრანდტი

ოპერის მსახიობნი

ვან-ბრანდტი, ცნობილი მომღერალი ქალი მუსიკალური განათლება მიიღო პარიზის კონსერვატორიაში ქ-ნ არტ-დე პადილლას ხელმძღვანელობით და დაჯილდოვებულ იქმნა ოქროს მედალით; იმავე წელს მიწვეულ იქმნა პარიზის თეატრში Opera comique, სადაც შესანიშნავად მღეროდა ლაკმეს (დელიბას ოპერა). მოვლილი აქვს რუსეთისა და ევროპიის მთავარ ქალაქები და ყველგან საუცხოოდ უმღერნია. ამ ორი წლის წინად საფრანგეთში დაჯილდოვებულ იქმნა ოქროს Palm l'acaqemique-ით ამჟამად საგასტროლოდ მოწვეული თბილისის ოპერაში.

მსახიობის დღიურიდან

...ვინ რას დამაკლებს... ჩემშა ძალა
ფრთა-გაშლილი და დაუთრგუნველი;
დეე, კვლავ ეცვით დაშხარხარებდეს
მტერთ ურტყვი გუნდი, ბრბო
უზრუნველი.

იმედი.. ერთად ერთი ,,იმედი
გზას მისხიეოსნებს მომავალისს,
ამ ირდღით თუნდ მოლად გავაქრო
გარს შემოხვეულს შავს ძალს
მტრისს...

გ. ტაბიძე

თაფ. კნიაზ იოთამს ვახლავართ! (ხელს ჩამოართმევს ძაღლებმა დაგკბინეს?

იოთ. (იტინის) ისეთი შემიტიეს, გულადი რომ არ ვყოფილიყავი, სწორედ შემჭამდენ!

ქაიხ. დაკბენილი ხომ არა ხართ, ყმაწვილო!

იოთ. (იტინის) ცოტა-კი კანჭებში გამკრეს კბილი!.. მაგრამ არც მე დავაყარე ხეირი! (ტუუის) ერთს ყური მოვგლიჯე და მეორეს კუდი.

ქაიხ. შვილო, რატომ არა სთხოვ სტუმარს დაბრძანდეს; დაბრძანდით, ყმაწვილო!

იოთ. გმადლობთ, ნუ შესწუხდებით! რა ბრძოლა იყო! (იტინის)

თაფ. (ჩუმად მამს) ხედამ, მამა, რა თავაზიანი და ზრდილობიანია. შენ კი ამბობდი — მეორე კლასიდან გამოაგდესო.

ქაიხ. (ჩუმად თაფლოს) ჩუმად იყავ! (იოთამს) შვიდი ძაღლები გვყავს და არ ვიცი, რ დეგმართათ.

იოთ. მე დაცდილი მაქვს; როცა დილიდანვე დედა ღრენას დამიწყებს—იმ დღეს თუ სადმე ძაღლები შამხვდენ, უთუოდ დამკბენენ! დღეს დედა ჩემმა დილიდანვე დამიწყო ღრენა.

ქაიხ. (ჩუმად შვიდს) ზედ არ ეტყობა, რომ ნასწავლია! (მაღლა) უკაცრავად, ყმაწვილო, მე გიახლებით, ცოტა თვალს მოვატყუებ სადილს წინ, თქვენ-კი გაერთეთ მანამ! (ნელა გადის დერეფანში. დიდ ხანს სიჩუმეა, იოთამი და თაფლო ერთმანეთს შეხედავენ და ისევ ბერს იბრუნებენ რამდენჯერმე)

იოთ. (ძალზედ ამოიოხრებს) აჰ, აჰ!..

თაფ. (შეშინებული) უჰი, რა შემაშინეთ!

იოთ. (კადეგ ოხრამს) აჰ, აჰ!

თაფ. რაზედ ოხრამთ?

იოთ. ეჰ, ვინ იტყვის რაზედა ოხრამო! (სიმღერით)

ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია,
რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა!!

თაფ. რა კარგი ხმა გქონიათ? მე ძრიელ მიყვარს სიმღერა!

იოთ. მერე ჩემისთანა სიმღერა და თარი არავინ იცის ქიზიყში.

თაფ. (სიჩუმის შემდეგ) რაზედ ამოიოხრეთ წელან ისე მძიმედ?!

იოთ. უსიამოვნობა ცხოვრებაში... არა-ვითარი თანაგრძნობა... მარტოობა... ეხ, რაც მქონდა— სულ დავკარგე... დღე მოსვენება არა მაქვს და ღამე არა მძინავს, — არა ვსვამ, არა ვჭამ, გულში გრძნობა არ არის, თავში ფიქრი! (თავისთვის) ეჰ, ეჰ, ეჰ,

თაფ. ალბად რაიმე უბედურება შეგმთხვევიათ!?

იოთ. უბედურება და ეგრე? მთელი ღამე თვალი არ დამიხუჭამს.

თაფ. ავად ხომ არ იყავით?

იოთ. რაც მე ოფლში გავიწურე?

თაფ. მერე რა შეგემთხვათ ისეთი?

იოთ. (მნიშვნელობით) ლექსებსა ვწერდი.

თაფ. (ნასიამოვნები) ლექსებსა?

იოთ. დიახ, ლექსებსა, მერე რა ლექსებს! ქვას გახეთქდა და ხეს ააკრემლებდა! მაგრამ საუბედუროდ მათი ჩაწერა ვერ მოვასწარ. ჰაიგიდი, რა ლექსები იყო.

თაფ. (ეღტაცებული) თქვენ პოეტიცა ხართ?!

იოთ. პოეტი?! ჩემისთანა შაირები მთელს ჩვენ მხარეს არავინ იცის; დილით რო დავიწყო, მეორე საღამოს თუ გავათავებ.

თაფ. აბა, ერთი წამიკითხეთ თქვენი ლექსები!

იოთ. წაგიკითხამ მხოლოდ ერთი პირობით: რაცა გკითხოთ — პასუხი მომეცით.

თაფ. ჯერ თქვენ წაიკითხეთ!

იოთ. ამ ლექსს ჰქვიან „შენი ვარ“ და დავწერე სახსოვრად ახალგაზრდა ქალისა, რომელიც გაგიჟებით შემიყვარდა! (ტბიერად გადაგდებს თვალს თაფლოს, რომელიც დარცხვენით თავს ჩადუნავს) მაშ ვიწყობ!

„შენ ჩემი ხარ, მე შენი ვარ, შენი ვარ,
შენ დაგეძებ, სულ შენთვისა დავდივარ:
მარტო თუ ვარ, შენს ფიქრში ვარ, შენი ვარ!“
როგორია, ჰა!?

თაფ. (ეღტაცებით) საუცხოვოა, საუცხოვო, განაგრძეთ!

იოთ. ამ ჰანგზე?

თაფ. როგორც გენებოს! ერთი ეს მითხარით, როგორ აკეთებთ, როგორ იგონებთ ამ ლექსებს.

იოთ. (თავზე უჩვენებს) აქედან ამოდის! როცა გნებავთ, რაზედაც გნებავთ, რომელი ლექსი არა ვთქვა ისე ხელად, თათარიანხნად.

თაფ. (მორცხვად) აბა ერთი ჩემზე სთქვით!

იოთ. (ჩაფიქრდება)

„თქვენა ხართ ძრიელ ლამაზი,
ჩემო ტურფავ, ჩვენო თაფლო,
სიყვარულით სავსე მალხაზო
უსიყვარულოდ არ დამფლო!“
როგორია, ჰა, ჰა?!

თაფ. მშვენიერია, მშვენიერება! რა ნიჭიერი ყოფილხართ!

იოთ. (თავმომწონედ) თუნდა მთელი დღე შაირებით და ლექსებით ვილაპარაკოთ. აი, დედაჩემი გაუნათლებელი ქალია, მაგრამ იმანაც კი იწამა ჩემი ნიჭი... ახლა განზრახვა მაქვს, ლექსები გამოვცე, ფულებს ავიღებ და თქვენ მოგართმევთ.

თაფ. მერე მე ფული რად მინდა?

იოთ. არა, ფულებს-კი არა, თქვენ ლექსებს მოგართმევთ, ფულებს-კი მე ავიღებ! (აცინის. სიჩუმის შემდეგ) ერთი პაპიროსი არა გაქვთ?

თაფ. (ამოიღებს ჯიბიდან რამდენიმე პაპიროს) მართლა, სულ არ დამავიწყდა! მამას მოვპარე —ინებეთ! აი სპიჩკაც! (მოუკიდებს და ხელში აძლევს)

იოთ. (მოსწევს) იჰ, იჰ.. რა ნაფაზი იყო!

თაფ. ნაფაზი რაღაა?

იოთ. როგორ, ნაფაზი არ იცით რა არის? ეჰ, ვერაფერი ნასწავლი ყოფილხართ, თუ ნაფაზი არ იცით, რა არის! აი, ნაფაზი! (უჩვენებს) მიხვდით ახლა?

თაფ. არა?

იოთ. ეჰ, ეჰ, რა თქვენი საქმეა? თქვენ ეს მითხარით, პირობაზე როგორა ხართ?

თაფ. (გაოცებით) რა პირობაზედა?

იოთ. ვაჰ, აგრე მალე დაგავიწყდათ! წელიან რომ დამპირდით.

თაფ. რას დაგპირდით?

იოთ. იმას, რომ პირდაპირ მიპასუხებთ ჩემ კითხვაზედ?

თაფ. აბა!

იოთ. ვინ მოგწონთ?

თაფ. (იცინის) ვერა, მაგას ვერ გეტყვით!

იოთ. (წამოდგება) არა, მე მეტი აღარ შემიძლიან? გაიგეთ, თაფლო, რომ ჩემი გული... (შეჩერდება) გესმით, ჩემი არსება! ნუ თუ არ მატყობთ? ნუ თუ ჩემი სახე არ გეუბნებათ, თუ რა ამბავია ჩემს გულში!.. აქ შემოიხედეთ, აქ (უჩვენებს გულზე და მერე მუხლებზე დაეცემა) თაფლო, მე ისე მიყვარხართ, ისე... როგორც, როგორც... შალვას თამარ ბატონიშვილი? (თავისთვის) თაფლო, უთქვენოთ ჩემი სიცოცხლე, რა სიცოცხლეა; თაფლო, ენა ვერ ამბობს, რასაც გული გრძნობს... (ხელს მოჰკიდებს)

თაფ. (თავისთვის) უჰი, რა საინტერესოა! (ხელზე ბეჭედს დაუნახავს) ვუი! ეს რა არის? ბეჭედი? ვინ მოგცათ, დანიშნული ხართ?

იოთ. (დაბნეულა). ბეჭედი... ეს ისე.., ეს ბეჭედი ჩემი ცხონებული დიდი-დედისაგან დამრჩა!

თაფ. არა, სტყუით, სტყუით! რად გაწითლდით!

იოთ. მაშ ადვილი გგონიათ... ისეთმა ჭირის ოფლმა დამასხა! (შეჩერდება) ეს საოცარი ბეჭედია! როცა დიდედამ ეს ბეჭედი თურმე ხელზე გაიკეთა, მაშინათვე სული გაძვრა ცხონებულს.

თაფ. მერე რათ ატარებთ?

იოთ. (სიჩუმის შემდეგ) იცით რა, თაფლო, დაე ეს ბეჭედი იყოს პირველი ჩვენი ნიშანი... (ხელზე უკეთებს ბეჭედს) ამინ! ამინ! ამინ!

თაფ. ეს „ამინ! ამინ!“ რაღაა?

იოთ. ვა, განა არ იცით! ეკლესიაში რომ ამბობენ: „ამინ, ამინ გეტყვით თქვენ“... თაფლო, დაიფიცეთ, რომ ამ ბეჭედს არ მოიშორებთ არას დროს!

თაფ. გეფიცებით, ამ ბეჭედს მაშინ მოვიშორებ, როცა თქვენ გაგშორდებით! ახლა წავალ, ჩემი ბედისწერის გასაგებად! (მადის, მობრუნდება, მერე ერთბაშად აკოცებს და გარბის)

იოთ. (ძდგეს მოვა გონზე და მერე ერთბაშად რამდენჯერმე ჰაერს უტინის) იჰ, თითქოს ციებ-ცხელებაში ვიყო! მაგრამ აჰა? (თავ მოშწონედ) აბა, ერთი დედაჩემს ყური დაეგდო, თუ რა ეშხით ველაპარაკებოდი ჩემს სატრფოს!.. იქამდისინ მივიყვანე, რომ გავაგიჟე და ვაკოცნინე... დედა ჩემი-კი სულელს და რეგვენს მეძახის. აბა, რომელ რეგვენს შეუძლიან ის საქმე, რაც მე შევიძელი! თქვენ ადვილი გგონიათ ქალის გაგიჟება! აბა, თუ ბიჭები ხართ, სცადეთ ვინმემ და გააგიჟეთ! მაშ!! (იცინის) ეჰ, შევირთამ ჩემს თაფლოს და ჰერი: ჯერ თბილისში, მერე ბათუმში, მერე ოდესაში, მერე მოსკოვში, მერე პეტერბურგში და მერე ლონდონში... არა, ჯერ იქ არა, ჯერ პარიჟში... დედა-ჩემს კი აქ დავტოვებ, მამულს ვუყიდი და იყოს თავისთვინ... მე და თაფლო-კი ვიმოგზაურებთ. ერთ კარგს წვეულობას გავმართამ აქ, რაც საზანდრები და მეზურნეები არიან, სულ აქ ჩამოვრეკამ! ვაჰ, რა დროებას გავატარებ!!.

ვ. გუნია

(შემდეგი იქნება)

ჩვენი მსახიობნი

ი. ფ. ზარდალიშვილი, ქართული სცენის ახალგაზრდა მსახიობი, რვა წელიწადია სცენაზე მოღვაწეობს. პირველად მუშაობა დაიწყო ქუთაისის სცენაზე ვლ. ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით და თვისის ბეჯითის მუშაობითა და ნიჭით სათვალჩინო ადგილი დაიჭირა ქუთაისის სცენაზე. ეს ერთი სეზონია თბილისის სცენაზე სთამაშობს ქარ. დრამ. საზოგადოების დასში და აქაც ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა. მისი ამპლუა სახასიეთო როლებია. მშვენიერად სთამაშობს იურის, მარკუსს, პრინცს, ყადოვს, შლიმეს, არმან დიუვალის, ჰერბერტს და სხ.

ი. ზარდალიშვილი შრომის მოყვარეა, სასცენო ხელოვნების მოყვარული და პატივის მცემელი. მსახიობს ეს თვისებანი თუ ბოლომდე შერჩა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე.

18 ამ თვეს მისი ბენეფისია ქართულ თეატრში.

მომავალი მსახიობი

(გაგრძელება იხ. თ. და ც. № 3)

ზემოთ მოყვანილს მიმდინარეობას თავისი მსახიობები ჰყავდა (იხ. „თ. და ც.“ № 3). პირველ შემთხვევაში, როდესაც პიესა დღიურ ზერ-ყარმს ეხებოდა, როდესაც იგი ფოტოგრაფიული სურათი იყო ჩვენში გამეფებულ უკულმართობისა, — მსახიობიც ფოტოგრაფად უნდა ქცეულიყო. მსახიობს ერთი, მეტად ფართო სპარეზი-და ჰქონდა დარჩენილი: იგი უნდა დაჰკვირვებოდა ჩვენს ცხოვრებას, რათა სანამდილით გადმოცა მაყურებლისთვის პიესის გმირის სტუბა. აქ იგი თითქმის ავტორის ეურ-მოზრილი მონა იყო. სულიერი ვითარება ავტორის-მიერ დასტული გმირისა მეტად დაფარული იყო, ხშირად უგუგდებულიც, ასე რომ მსახიობი ვეღარ შესძლებდა მის გასულდგმულებას. რაიცა შეეხება მეორე დარგს, — ისტორიულ პიესებს, — აქ მსახიობი მეორე მსარეს ემორჩილებოდა: რეჟისორს. ძლიერ იშვიათი იყო, რომ მსახიობს ხელი შეეხოს გმირის სულისთვის, შიგ ჩაეხედოს და თავისი თამაშით სხვებისთვის დაესახვებინოს გმირის სულის დაფარული კუნჭული. თუ კიდევაც იყო ამის მაკალითები, მაშინაც-კი მხოლოდ ზედ პირველად ახსნიდა იგი სუდრას და თავს ადარ კიცხელებდა კვლეა-ძიებისთვის. მთელი მისი ეურადღება კარგან ეფექტებზე იყო მიქცეული, რათა მაყურებლის გრძნობაზე ძლიერად მოქმედა და ამით თავისი მისია შეესრულებინა პირნათლად. ასეთს მდგომარეობაში ძნელია რაიმე დაპარაკი დრმა ინტერპრეტაციის შესახებ, ძნელია ითქვას რაიმე მსახიობის ზრდა-განვითარებაზე.

ასეთი იყო ძველი მსახიობი, ასეთი არის თითქმის დღეკანდელი ვითარება ჩვენის მსახიობისა, თუ გამონაკლისს არ მივაქცევთ დიდ ეურადღებას. ძველი ეადილი მსახიობი ვერ კაიკვებს საზოგადოების მისწრაფებას და, რომც კიკოს და ადდო ეუდოს კიდევ ხალხის სულისკვეთებას, იგი მაინც ვერ ულალტებს თავის გამოვდილს გზას: მეტად ძნელია ოცდაათი წლის გადატეკენილი ბილიკის დატოვება. და ამატომაც ჩვენს ბიუდს მომავალი მსახიობი უნდა ასაზრდოვებდეს. მან უნდა დაკვმაყოფილოს ჩვენი ხალხის სულიერი ზრდა-განვითარებისადმი მისწრაფება. ეველასთვის ცხადია, რა რიგ საპატიო და ამავე დროს მეტად მძიმეა ასეთი ტვირთი!...

ჩვენი საზოგადოება არსებითად შეიტვალა. გუშინდელი მისი გემოვნება ან შეხედულება სულ სხვა არის, ვინემ დღეგანდელი. იგი განუწყვეტლივ ახალსა და ახალს წყაროს ეძიებს თავისი სიტოტხლისთვის. ეოველი ორგანიზმი ექვემდებარება ზრდა-განვითარების კანონს, და ჩვენი საზოგადოებაც ხომ ტოტხალი ორგანიზმია! ამ ჟამად ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს თოფ-ზარბაზნების გრიალი ან ის, თუ როგორ დასტემს პრიალა ხანჯალს გაკოფორებული ქართველი თავის „მტერს“—ოსმალს ან სპარსელს. ჩვენ გატიდებით კულტუროსანნი ვართ, — ღვაძლი შვილები ჩვენი საკუნისა. ეოველივე გონებრივი მოძრაობა, მთელი კატობრიობის განვითარების სურათი მტირე მაშტაბით ადნუსნულია ჩვენშიც. ამ ზრდა-განვითარებამ შესცვალა ჩვენი აზრი ადამიანის შესახებ. ეოველი ჩვენგანი უპირველესად ეოვლისა ადამიანია, — ტოტხალი, თავისი ბედისა და და უბედობის შექმნელ-გამომშეკედი, ენებოთა ღელვის მონა, მრავალფეროვანი და მრავალმხრივის კონსტრუკციის, ბუნების ბატონი და ამავე დროს მისი ემა ადამიანია ეოველი ჩვენგანი. ასეთები ვართ ჩვენ. მეტი ეურადღება აქ ადამიანის სულიერს მდგომარეობას ექცევა, ეოველ მის მოქმედებაში ჩვენ ვეძებთ ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოხატულებას. ასეთი ინდივიდუალური მიმდინარეობა სუფევს ამ ჟამად ლიტერატურაში და სხვა ქვეყნის სტენებზე. ასეთივე უნდა იყოს ჩვენი სტენაც, და თუ იგი ვერ ადნუსხავს ამ მიმდინარეობის დირსულად, ამისი მიზეზები ჩვენ წინა სტრიქონებში გამოვარკვეთ. ამ ხაკლის შესავსებად და დირსეულად შესამუშავებლად მოწოდებულია მომავალი მსახიობი. მისი წმინდა მოვალეობაა, დაგვიხატოს სავსებით ადამიანი, — არა მეტაფიზიკური ზეკაცი (ბშიბიშევსკი), არამედ რეალური პიროვნება, რომელშაც ჩვენ ჩვენს ნათესაობით ხასიათებს ვეძებით (ჰაუპტმანი, იბსენი და სხვ. და, თუ გნებავთ, მეტერლინკიც). ასეთი დანაშნულება ჩვენი მომავალი მსახიობისა აუცილებლად ითხოვს, რომ იგი ინდივიდუალისტი იყოს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით ისევე, როგორც ეოველი ჩვენგანი. ერთის წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს ის, რომ მომავალი მსახიობი თავისებური პუბლიცისტია. უკანასკნელსავით იგიც ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალეურს ჩვენს ცხოვრებას; უკანასკნელსავით იგიც გადაწერილ პასუხს უნდა აძლევდეს საზოგადოების მიერ წამოყენებულ საკითხს ხელოვნების დარგში,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ცხოვრების გარეშე დარჩება, თავის დანიშნულებას უღალატებს...

მომავალ მსახიობს მარტოოდენ ადამიანთან აქვს საქმე, — ავტორის-მიერ დახასიათებულ გმირთან. იგი ღრმად უნდა ჩასწვდეს ამ ადამიანს, ორტატურად უნდა გადამდგარ მისი გული, შიგ ჩახედოს, რომ შემდეგ მართებულად ასწონ-დასწონოს მის-მიერ გახიროვნებული გმირის მოქმედება. მას უნდა დაავიწყდეს თავისი თავი, ადიგზნას გმირის გულში მოტიმტიმე ნაპერწკალით, ფაადვიეოს იგი და, როდესაც ეოველივე ამას დირსეულად შესრულებს, თამამად შეუძლია სთქვას: „დიახ, მე გახდავარ ხელოვანი მსახიობი,“-ო.

მომავალი მსახიობი მოტინარე კრიტიკოსია. უკანასკნელი გულდასმენით კითხულობს თხზულებას, იკვლევს მის მშვენიერებას, ეძიებს დედაძარღვს და ამ მუშაობით გატაცებული თვითთნვე ჭქმნის ახალ ხატებას. ასეთივე უნდა იყოს მსახიობიც. იგი ისწავლის გმირს, თავს ეგდება მის ხასიათებს; ასულდგმულებს და ადაბრაკებს, ხმას ადებინებს გახიროვნებულ გმირს, იგი თვალწინ წარმოგვიდგენს ჩვენთვის ადვილად გასაგებს ადამიანს, რომელიც მრავალ რასმე ეტეგის ჩვენს გონებას. მომავალი მსახიობი, როგორც კრიტიკოსი, ვერ დასჯერდება ავტორის-მიერ აქა-იქ გაკრულ ფერადებს; იგი შეეცდება უფრო გაცხოველდოს და შეავსოს ეოველის მხრივ გმირის ფსიხიკურ განცდათა სურათი. ამითაა ძვირფასი მომავალი მსახიობის მუშაობა, რომელიც საგანებით მიმართულია ადამიანის სულიერ „მე“-ს კარგვეგისა და გაგებისადმი.

მაგრამ მომავალი მსახიობი მხოლოდ მაშინ შესძლებს გმირის ეოველმხრივ უსწავლას, როდესაც მას ჯერ მოდიანი, საერთო სურათი ექნება დახატული. ცხადია, მსახიობმა ჯერ მოდიანი ტიპი უნდა შეშინაგეთოს, რათა შემდეგ შესწავლის დროს თანდათან გაადრმავოს, გაამდიერთს იგი. შემცდარია, ვეფერობ, სულარჟიცი*), როდესაც ამბობს, მსახიობი ჯერ ერთ წერტილს მიაქცევს ყურადღებას, შემდეგ — მეორეს და ასე და ამგვარად შეჭქმნის მოდიან ხატებასთ. ასეთ ბირობებში მსახიობი უსათუოდ სხვის დახმარებას საჭიროებს, რადგანაც იგი ბრეველ წუთშივე დაჭკარგავს გზას და ძნელად-და მიაგნებს დაფარულს საიდუმლოებას. ესეც არ იეოს, თვით დაკვირვებაც წინააღმდეგს გვეუბნება. როდესაც რაიმე საგანს გვაჩვენებენ, ჩვენ ჯერ საერთო, მოდიანი შთაბეჭდილება გვრჩება და და მხოლოდ შემდეგ გადავდავართ წვრილმანებზე. მომავალი მსახიობისათვის ასეთ საგანს წარმოადგენს ადამიანი. როგორც ჩვენი ორგანიზმის ეოველ უჯრედში ეველა ჩვენი თვისებაა დაფარული, ისე ეოველი ფსიხიკური მოძენტი შეიცავს არა მარტო რაიმე დამახასიათებელ თვისებას, ერთ რომელიმე ნაკვთს, არამედ მთელ არსებას ადამიანისას, რომელზედაც ხან ერთი მხარე ამოტეურდება ზედაპირზე, ხან-კი — მეორე. ფსიხიკური ცხოვრების ეოველ წუთში მთელი ადამიანია დაფარული, და მომავალი მსახიობიც მარტოოდენ მაშინ შესძლებს ცალკე ბიორობების დირსეულად ჩამოქანდაკებას, როდესაც იგი მოდიანად იცნობს მასალას—ადამიანს. ეს მოდიანი სურათი მსახიობის ბიესის კითხვის დროს უნდა წარმოუდგეს. შემდეგ იგი სინტეტიურად-კი არ აკავშირებს ცალკე მომენტებს, არამედ ანალიტიურის გზით აბიროვნებს თავის გმირს. სულ სხვა საკითხია, დაეთანხმებიან მსახიობს როლის ინტერბრეტაციაში თუ არა. ეოველ შემთხვევაში ის კი ეჭვს გარეშეა, რომ იგი ერთს, მოდიანს ტიპს შეჭქმნის, დრმა შთაბეჭდილებას და არა დაქუცმაცებულს, წუთიერსა და აქა-იქ გაფანტულს მშვენიერ ფერადებს დასტოვებს. მომავალი მსახიობის ხელოვნებაც სწორედ აქ იფარვის. ამაზე— შემდეგ.

პ. დადვაძე

*) მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთი რეჟისორთაგანია. იხ. ვ. შალიკაშვილის წერილი მოსკოვიდან („დროება“ №№ 276—77) **პ. დ.**

ავქსენტი ცაგარლის საფლავი

გული მომიკვდა, თვალთაგან ცრემლთა ნაკადული გადმოვაფრქვიე, როცა ნაღველ-მორეული, სულით შეწუხებული, საფლავთა შორის მოსიარულე, ჩვენი სასიქადულო დრამატურგის საფლავს წავაწყდი..

და, აი სურათი, იმ საფლავისა: დამპალი ხის ჯვარი და ზედ ცარცით წარწერა: დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი.

ვიმეორებ, გული დამედაღა! ვსთქვი ნუ-თუ ეს ეკადრება ჩვენი თეატრის სიამაყეს-მეთქი?!

აგერ რვა წელიწადია, რაც ა. ცაგარლის გვამი გაცივდა და, მგონი, დრო არის მისი საფლავი მისი ხსოვნის პატივ-საცემლად ღირსეულად შევამკოთ...

რის ღირსიცაა ა. ცაგარელი,—ყველამ იცის, მეტია ამაზე ლაპარაკი.

ვისი მოვალეობაცაა ამ საქმის სისრულეში მოყვანა,—ესეც ვიცით.

ამ შენი-შენით მოვაგონებთ მათ და ვეტყვით:

ნუ სტოვებთ ობლად ძვირფას საფლავს!

კონსტან-ანდრონი

შესანიშნავი კომპოზიტორი
ბეთჰოვენი
1770—1827.

დიდებულ ადამიანთა ცხოვრებიდან

ბეთჰოვენის სიკვდილი

ს-ორმოცი წლის წინად დაიბადა დიდებული კომპოზიტორი ბეთჰოვენი, მუსიკის დმერთად შინნეული, ხოდო თითქმის ერთი სუკუნეა, რაც გარდაიცვალა...

მართლაც და შესანიშნავი იყო სიკვდილი ამ დიდებულის კაცისა...

იგი ცხოვრობდა ქ. ვიენის მახლობლად...

მოუდოდნელად წერილი მიიღო თავის ძმისწულისა ძლიერ ავად ვარ, მომხედეო...

ბეთჰოვენი, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი ძმისწული, გაუშარა და ფეხით გაუდგა გზასა...

სადამომდის იარა. ძალზე დაიღალა და მახლობელ სოფელში ერთის ოჯახში, შეაფარა თავი...

მასპინძელმა ეახშამი მოამზადა...

სტუმარ-მასპინძელი ეახშმეს, ჩუმად, წესრად, იდუმალებით მოცულთ...

ეახშმის შემდეგ დაასახლისი საკერავს ჩაუჯდა, ქალიშვილმა წინდის ქსოვა დაიწყო, ოჯახის უფროსი დანჯდრეულ ხაინინს მიუჯდა, შვილებმა ძველ სკრიპკას მოჭიდეს ხელი...

ერუ ბეთჰოვენი, კუთხეში ჩუმად მიეჯდარი. მასპინძლებს შეჭიურებდა, თვალეურს ადევნებდა...

რაოდენიმე ხნის შემდეგ იგი გაიოცა მასპინძლთა არა ჩვეულებრივმა ცვლილებამ:

ქალიშვილს ხელიდან წინდა დავარდა, თვალიდან ცრემლი წასკდა..

დიდ მს მოეხვია, იგიც იდუმალ აცრემლეულ

მუსიკა მიეუჩდა, ყველა დრმა სიჩუმემ მოიცვა...

ბეთჰოვენმა ყველა ამის დანსგვაზე თვალები აუტეტა...

სმენით ვერ ესმოდა, გრძნობით-კი ჭვრძნობდა..

— ვისი მუსიკაა, რომ ყველაზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინოო, გაიფიქრა მან და მოითხოვა რვეული ნოტებისა...

დიდებული კომპოზიტორი გაოცდა, როდესაც რვეულზე ამოიკითხა — Beethoven.

ის იყო თვითი მისივე შეორე სიმფონიის Alegretto..

— ეს ხომ ჩემიაო, სიქვა აღგზნებულმა ბეთჰოვენმა...

ყველა დამსწრეთ აღტაცებით დაუკოცნეს ხელი, შუბლი, კალთები...

კომპოზიტორი თვითი მიუჯდა დანტდრეულ ბიანინოს, სკრიპკა აკვნესდა...

დადნა, დადუმდა უტეეი და მეტუეელი...

ზემოამდლებულმა ხელოვანმა კიდეე ერთხელ, და უკანასკნელად, ჩაქსოვა-ჩაწნა თავისი გრძნობა, გული და სული, თავის უკვდავ ქმნილებანს...

მაგრამ გრძნობა მოეკარბა, დადგამ უმატა...

წასკდა ტირილი, დაწეებული ჭანგი ყედარ დასრულა, უტებ აყვდ გახდა...

მასპინძლებმა დოგინში ჩაწვინეს...

იგი უარესად შეიქმნა...

მეს მეოთეთ ადარ დაუოვნეს და აცნობეს ბეთჰოვენის მეგობარს, აგრეთვე დიდებულს მუსიკოსს ჭუმეშელს — შენი მეგობარი ძლიერ ავად არისო...

ჭუმეშელი მაშინვე გამოეუარა მეგობრის სანასვად, მაგრამ სულთმობრძაკ-და მოუსწრო...

ოთახში შვედრი სიჩუმე გამეფებულიეო...

მომაკვდავმა ბეთჰოვენმა თავადნი მიაუტერა ჭუმეშელს.

— ჭუმეშელ, მხოლოდ შენ უწეი, მე რა დიდებული კაცი ვეეაეიო,—ეთხრა და სულიც განუტეავ..

Violoniste D. Davidian

ქართული თეატრი

მარო მდივანი. ეს ითი წელიწადია, რაც ქონი მარო მდივანი დაუდგენელად და ბეჯითად ეშსახურება ქართულ თეატრს. ბირველად სცენაზე გამოვიდა თბილისში: შემდეგ ქუთაისში გადავიდა, ხოდო ეს უკანასკნელი რამდენიმე სეზონი თბილისის სცენაზე მოდგეწეობს. მ. მ. ამჯერეა— ბევრი კომიკური და დრამატიული როლი უთამაშნია ერთნაირის ხელოვნებით და ერთნაირის სიმშვენიერით მოუხიბლავს ასზოგადება. დღეს ქართულ თეატრში მისი ბენეფისია, წარმოდგენილი იქნება შ. ამის ბიესა **„შურისძიების ღმერთი“** და ივ. გომართელისა— **„დრამატ. გამგეობის წევრი“**. ორივე ბიესა საინტერესოა. წარმოდგენაში, სხვათაშორის, ვდ. ად.-მესხიშვილი მონაწილეობს.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

—:—

იანვრის გასულს აღბულახიდან ვბრუნდებოდი. დილის 8 საათი იქნებოდა, როცა სადგურიდან გამოვედით მე და ერთი ექიმი, რომელიც ავადმყოფის გასაშინჯავად ამოსულიყო.

ორი დღე ცხენით ვიარე და ახლა-კი, დაქანცულმა, ეტლით ვირჩიე მგზავრობა.

თბილი დღე იყო, ზამთრის დღეს არ გაგონებდა! თოვლი აქა-იქ მარტო მთებზე მოსჩანდა! ასკილის ბუჩქებს შტოები გამწვანებოდა , თბილ დღეს გამოეტყუებინა!.. ხის ძირებში ია მრავლად მიმალულიყო, კრძალვით გამოიყურებოდა, თითქოს მგზავრთ ემუდარებოდა: ხელი არ მახლოთ, გაიარეთ, დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვსო!...

მე და ჩემი თანამგზავრი ვერაფრით ვერ შევყევით მუსაიფს, მე ნაღვლიანმა ოცნებამ გამიტაცა, ის კი უმნიშვნელო საგნებზე მელაპარაკებოდა!... მე მოკლედ ვაძლევდი პასუხსა... ბოლოს ორთავემ მივანებეთ თავი ლაპარაკსა და ჩვენს ფიქრებს მივეცით თავი!...

გულმოდგინედ ვიყურებოდი აქედ-იქით!

ეს მხარე ამის მეტად არ მენახა!.. და ამხანადაც ღამით შემოველ აღბულახს... ცნობისმოყვარეობით ვაკქერდებოდი ყველაფერს: ხალხს, სახლებს, საქონელს, ველ-მინდვრებს, ტყეს, ცას... მთელს ბუნებას!..

მინდოდა ყოველი ადამიანის გულში ამომეკითხა, რით იყო გამსქვალული, რა ადარდებდა!.. ვაკქერდებოდი მინგრეულ სახლებს, მუშა-გლეხების ბინებს, და მწარედ ამოვიოხრავდი ხოლმე!.. აქ თავი შეეფარებინა სილარიბეს, მონობას, ტანჯვა-ვაებასა და სევდას!.. ის ქოხმახებია მუნჯი მოწმენი თავგასულ უსამართლობისა, დაჩაგვრისა, დევნისა....

ყველა სოფელში მკვდარი სიჩუმე გამეფებულიყო!... ძაღლების ყეფაც-კი არ ისმოდა... ადამიანებს სახეზე რაღაც სევდა გადაჰფარებოდა!.. შიშველ-ტიტველი ბავშვები დაგლეჯილი ტანისამოსით, სახლების წინ ჩუმად თამაშობდენ, თითქოს მათაც ეშინოდათ ხმის ამოღებისა!.. სოფელს მწუხარების ზეწარი გადაჰფაროდა!..

ამ მინგრეულ სოფელში, მაღლობებიდგან გადმოიყურებოდენ ბატონის კარ-მიკეტილი, დანგრეული სახლები... ეტყობათ სახლ-კარი მიუტოვებიათ, ლტოლვილან, მიუვიწყებიათ ერი, ენა, მამული და ყოველივე ძვირფასი, წმინდათა წმიდა შეუწირავთ ჩინ-მენდღვებისა, ლაქიობისა, გარეგნულ ბრწყინვალებისთვის!.. ზნეობაქონებით დაეცნენ და მასთან ერთად დასცეს ის მშრომელი ხალხი, ვისი წყალობითაც ფარფაშობდენ! ეს არ იკმარ, მშრომელს ხელიდან მიწა გამოაცალეს სხვებს გაუბოძეს!...

აქ მრავლად ვხედავ სხვა და სხვა ეროვნების ხალხს, მათ შორის ნაკლებად მოსჩანს ქართველი...

გული დამწყდა! სად წავიდა, სად განქრა, ის ერთსულოვანი ერი, რომელიც ამ ქვეყანას გმირულად იცავდა ათასი წლობით?!

დანგრეული, შავ ღრუბელ - ვადაფარებული ძველი ნაშთნი ნაღვლიანად დასცქერიან იმ ადგილებს, საცა ერთს დროს მძლავრი ერი ბუდობდა!.. გარეშემო არე-მარესაც საცოდავი, მკრათალი, ფერი დასდებია!... თითქოს თვით ბუნება გადაგვარდაო: ტყე გაიკაფა, დაწვრილმანდა, გახუნდენ ველ-მინდვრები, წვიმებმაც ჩამოდადრეს მთები და დაამახინჯეს!.. ჭირნახული, ხე-მცენარე, ისრე აღარ ბიბინებს!.. ფერმიხდილი, დაჯუჯავებული საქონელიც უგულოთა სძოვს და ზანტად მუშაობს!.. იგიც დანაღვლიანებულია... თავდაღუნული, წელში, მოხრილი, ხმა-გაწყვეტილი გლეხკაცობა გულში იკლავს სევდას! შიშით, მწარე ნაღველით უყურებს მეზობლებს, მათ მიწაზე მომუშავებს!... და გული სწყდება!..

აგერ მივუახლოვდი გერმანელების სოფელს; უცებ რომ ვნახე, მიამა: კოხტად მწკრივად დადგმული სახლები!... სისუფთავე, ყველა მასალა, მიწის სამუშაო იარაღი, ყველა სახლს ჰქონდა, და თვით ხალხიც სუფთად ჩაცმული იყო!.. ამ სურათმა ნაღველი ამიშალა!..

გერმანელის ყველა ეს თვისება ვიფიქრე, რატომ ჩვენს გლეხს არ აქვს?.. ნუ თუ, მართლა, უგუნური, ზარმაცი, ბრიყვია ჩვენი გლეხი?..

პირიქით, მასაც უყვარს მუშაობა! შრომა! მაგრამ გაოგნებულია!... ყველა მას ჩაფრენია კისერში და უკანასკნელ სისხლის წვეთსა სწუწნის! სუნთქვას უხუთავს, უშლის აზროვნებას.. ბეჯითად მუშაობ?.. და არც კი იცის, ვისთვის, რისთვის?!.. იმიტომ რომ სხვამ წაიღოს მისი ნაამაგარი!.. იგიც დაღუპვის გზაზე შემდგარა.. ვხედავ, ოდესაც მძლავრი ერი, როგორ მიჰქრის უფსკრულისაკენ!...

რა რიგ მინდა შევყვირო: „დადექ, გონს მოეგე, მობრუნდი, უფსკრულში ნუ გადიჩეხები!.. მაგრამ ძალი არ შემწევს ღონე არა მაქვს!..

ამ ფიქრებით მივუახლოვდით სადგურსა!.. გაჩერდნენ დაღალული ცხენები, მეც გამოვერკვიე, მაგრამ გული-კი კვნესოდა!..

გიორგი ფოცხოველი

ვინება თუ მუშტი?!

საძაგელი მდგომარეობაა, არ იცი, რითი დაიწყო და რითი გაათავო კამათი, ბრალდებულის სკამზე ვინ დასო და ვინ გაამართლო!..

დიაღ, ამ ერთს თვეში საშინლად აფორიაქდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება...

მეოცე საუკუნეა საუკუნე განათლებისა და მოქალაქობრივ უფლებათა მოპოებისა, და კიდევ ვერ მიხვედრილხარ--რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი კულტურულობა, მოქალაქეობა, სწავლა-განათლება, გონებრიობა!..

არავითარი პატივისცემა პიროდობისა, არავითარი თავაზი პიროვნებისადმი, არავითარი კრძალულება საზოგადოების წინაშე!..

ის ტაძარი, რომელიც ხასიათს უნდა ათვინიერებდეს, ქვენა ვნებათ სპობდეს, ადამიანთ აკეთილშობილებდეს, გასულ კვირას უმგვანო საქციელით შეიპილწა!..

ქართულ ხელოვნების ტაძარში განათლებულმა **მწიგნობარმა მწიგნობარს** შეახო ხელი გაზეთში „თბილისელ მოსყიდულ ჟურნალისტთა“ შესახებ დაბეჭდილ წერილის გამო...

აი, რა ვარდყვავილი შემოგვძღვნა ისედაც წწარე ცხოვრებამ!..

რა არის, სადა ვართ, რომელ ცის ქვეშა ვცხოვრობთ?!.

გულიგულში დაგუბებული ვარამი მიძღვნებს შევძახო ყველა მოძალადეს, ყველა მოურიდებელ ვაჟბატონს: რათ, რისთვის სცხებ ჩირქს ადამიანს სიტყვით თუ საქმით, მაგრამ... ვისთვისა ვსთქვა, რადა ვსთქვა!..

განა თვით-იმ ბატონებს, რომელთაც ანგარიშების გასწორება მხოლოდ მუშტი-კრივით დაუსახვათ მიზნად, ჩემზე ადრე არ უქადაგნიათ, რომ პიროვნების ხელშეხება უკეთურებაა?! მაშ რამ დაუბნელათ გონება, რომ არა-კაცური საქციელი ჩაიდინეს?!

გრცხვენოდეთ, ათას გზის გრცხვენოდეთ თქვენ, რომელთაც გონგებით, კაცობრიობით, მოქალაქეობით თავი მოგაქვთ და ქვებუდანობას, მოპირდაპირის ხელით გალახვას არ ერიდებით...

კერძო პირს დავდოთ ბრალი, გონების დაბნელებასა, სიმთვრალესა, ანუ თავდავიწყებას?!. არა და არა, ათასჯერ არა! მთელი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებაა მოშხამული, უკუღმართ გზაზე შემდგარი, გარშემოხვეული ატმოსფერაა მოწამლული, და, რასაკვირველია, რომ შედეგსაც ასეთს ვიმკით...

ჰმ!.. თურმე ტყავი გამოგვიცვლია,—სულიკი ბნელი შეგვრჩენია!..

თურმე სერთუკსა და გაკრახმალებულ პერანგს ქვეშ მოუთვინიერებელი, გაგარეგებული არსება იფარება...

ვაი და ვუი ჩვენ!.. სარცხვილი კარ-ჩაკეტილობაში მომწყვდეულ „საზოგადოებრივ“ ბატონებას...

დროა დრო, დაინგრეს ჩინური კედლები, დროა, დრო დაშრეს ყველა იმ წყაროთა სათავენი, რომელნიც შხამავენ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას... **ექიმი შტოკმანი**

რედაქციის ფოსტა:

ქუთაისში ლ—ა მ—სას: გულწრფელად გმადლობთ თანაგრძნობისთვის. დაიბეჭდება

ზაქათალაში ზ—ა ე—ს, გმადლობთ. ალნიშნულ გზას რედაქცია არ გადუხვევს და ეცდება ხალხში უკეთალშობილესს მასწრაფებათა კალვევებას. ჟურნალი ოფველ კვირა გამოვა.

ქუთაისში დ—ო დ—ს: გთხოვთ დანარჩენი მოქმედებანიც გამოგვიგზავნოთ, რათა რედაქციას შეეძლოს მთელი ბიესის განხილვა.

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.